

ადგილობრივი სასულიერო სემინარია

(1878 წელი, „ტიფლისკი ვესტნიკი“)

ადგილობრივი სასულიერო სემინარია ფრიად მნიშვნელოვანი დაწესებულებაა, ვინაიდან ამერკავკასიაში იგი მართმადიდებლური სასულიერო განათლების ერთადერთი კერაა. მის მნიშვნელობას სავსებით განსაზღვრავს ის როლი, რომელსაც ჩვენში ასრულებს სასულიერო სემინარიებში აღზრდილი სასულიერო წოდება. ეს როლი კი მეტად თვალსაჩინო და გავლენიანია. არც ერთ წოდებას არა აქვს ისეთი ახლო ურთიერთობა და მჭიდრო კავშირი ხალხთან, როგორც სამღვდელოებას. მაშინ, როდესაც, მაგალითად, სასამართლო და ადმინისტრაციულ ხელისუფალთა წარმომადგენლებს მხოლოდ დრო და დრო უხდებათ შეხვედრა ხალხთან, - ეკლესიის წარმომადგენლები განუყრელად ცხოვრობენ ხალხში და ყოველი ქრისტიანი კაცის ცხოვრებამ, აკვნით დაწყებული კუბოს ფიცრამდე, უნდა გაიაროს მათ ხელში. აქედან ცხადია, რა დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს და რა დიდ ზემოქმედებას უნდა ახდენდეს ხალხზე სამღვდელოება. შეუძლებელია, რომ ეს გავლენა მარტოოდენ სულიერი სფეროთი შემოიფარგლოს. როდესაც ეკლესიის მოძღვარს შეაქვს ცვლილებები ხალხის წარმოდგენებსა და ზნეობრივ ჩვევებში, ამასთან არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს მისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზეც, ვინაიდან რაც უფრო წმინდაა ხალხის რელიგიური მსოფლჭკრეტა და რაც უფრო მტკიცედ იცავს ხალხი წმინდა ქრისტიანული ზნეობის წესებს, მით უფრო მეტი იქნება წესიერება და რელიგიურობა მის ცხოვრებაში და მათ უფრო მალა უნდა იდგეს მისი მატერიალური კეთილდღეობა. მაგრამ ხალხის ცხოვრებაზე ასეთ ყოველმხრივ სასიკეთო გავლენას მღვდლები მხოლოდ მაშინ მოახდენენ, როცა ისინი მიზანშეწონილი აღზრდით მომზადებული არიან თავიანთი მაღალი მოწოდების, თავიანთი საგანმანათლებლო მისიის შესასრულებლად, როდესაც ისინი საეკლესიო წესებისა და წირვა-ლოცვის მექანიკური და უსულგულო აღმასრულებელნი კი არ იქნებიან, არამედ თავიანთ სამწყსოში იმოქმედებენ როგორც მაღალი ზნეობის გულმოდგინე მასწავლებელნი, პატიოსანი ცხოვრების მაგალითის მიმცემნი და ქრისტიანობის დამამყარებლის მაღალი მოძღვრების დაუღალავი მქადაგებელნი.

ეკლესიის მომავალ მოძღვართა ასეთი მომზადებისა და ასეთი აღზრდისათვის არის მოწოდებული სასულიერო სემინარია, აი რატომ აქვს დიდი მნიშვნელობა იმ საკითხს, თუ რამდენად აკმაყოფილებს იგი ქართველი ხალხისა და ჩვენი მართმადიდებელი ტომების სულიერ მოთხოვნილებებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საკმაო რაოდენობით იძლევა თუ არა იგი სამღვდელო პერსონალის განათლებულ კანდიდატებს? თბილისის სასულიერო სემინარია ამზადებს ეკლესიის მოძღვართ და ხალხის მასწავლებლებს მთელი ქართველი მოსახლეობისათვის, რომელიც შეადგენს ორ გუბერნიას, და, აგრეთვე, ამიერკავკასიაში მოსახლე სხვა მართმადიდებელი ტომებისათვის. საერთო ჯამით მთელი ეს მოსახლეობა მილიონახევარ სულს შეადგენს. აქედან ცხადია, რომ სემინარიას მხოლოდ მაშინ შეუძლია წარმატებით შეასრულოს თავისი დანიშნულება, როდესაც მას მოსწავლეთა

მრავალრიცხოვანი კომპლექტი ეყოლება, როდესაც იგი ყოველწლიურად გამოუშვებს, სულ ცოტა რომ ვთქვათ, სემინარიის სრული კურსის ცოდნით აღჭურვილ 40-მდე კაცს. მაგრამ, ჩვენდა გასაკვირვებლად, სინამდვილეში სრულიად საწინააღმდეგო მოვლენას აქვს ადგილი. სემინარიაში მოსწავლეთა კონტიგენტი იმდენად მცირეა, რომ ამჟამად ორ უკანასკნელ, სპეციალურ საღვთისმეტყველო, კლასში 23 აღსაზრდელია. მოსწავლეთა ასეთი მცირერიცხოვნობა წარმოადგენს არა მარტო უკიდურეს შეუსაბამობას საქართველოს ეგზარქატის სასულიერო მოთხოვნილების მიმართ, არამედ მკვეთრად ეწინააღმდეგება კიდევ ამ საკითხზე არსებულ კანონმდებლობას. 1867 წლის 14 მაისს უმაღლესად დამტკიცებული სასულიერო სემინარიების წესდებით, თბილისის სასულიერო სემინარიისთვის მოსწავლეთა რიცხვის მინიმუმი გათვალისწინებულია 187 აღსაზრდელით, ხოლო გამოსაშვები კურსის რაოდენობა - 26 კაცით. ადგილობრივი სასულიერო უწყების მესვეურთ თითქოს უნდა გაეგებოდეს ის გარემოება, რომ მოსწავლეთა ასეთი მცირე რიცხვი სრულიად არ შეესაბამება ეგზარქატის მოთხოვნილებას. ამის გამო ისინი ვალდებულნი იყვნენ აღედრათ შუამდგომლობა უწმინდესი სინოდის წინაშე, რათა ეს რიცხვი გადიდებული ყოფილიყო იმ საგანგებო შენიშვნის საფუძველზე, რომელიც ეხება სემინარიაში მოსწავლეთა განაწილებას და რომელიც მიუთითებს, რომ უწმინდესი სინოდს უფლება აქვს შეცვალოს ყოველი ცალკე სემინარიისთვის დაწესებული მოსწავლეთა ნორმალური რიცხვი ეპარქიის მოთხოვნილების შესაბამისად, იმ საგანგებო საჭიროების გამო, რასაც იწვევს აღსაზრდელთა რიცხვის შეუსაბამობა ეპარქიის მოთხოვნილობასთან. ჩვენ კი რას ვხედავთ სინამდვილეში? გადიდების ნაცვლად - შემცირებას, და მერე როგორ შემცირებას? ამჟამად თბილისის სემინარიის მოსწავლეთა რიცხვი ნორმალურ რაოდენობაზე თითქმის ერთ-ორად ნაკლებია. მაგალითად, მეორე კლასში წესდების მიხედვით უნდა ირიცხებოდეს 34 მოსწავლე, ნამდვილად კი ირიცხება - 26; მესამე კლასში კანონით დაწესებული 32 მოსწავლის ნაცვლად ირიცხება - 15; მეოთხეში 15 მოსწავლე - 30-ის ნაცვლად; მეხუთეში - 11 მოსწავლე, 28-ის ნაცვლად და, ბოლოს მეექვსეში - სულ 10 მოსწავლე 26-ის ნაცვლად. ამრიგად, წლევიანდელი გამოშვება აღსაზრდელთა დადგენილი რიცხვის მხოლოდ ერთი მესამედი იქნება; ასევე მცირერიცხოვანი იქნება მომავალი წლების გამოშვება, ვინაიდან ყოველწლიურად სხვა-და-სხვა მიზეზის გამო ხდება მოსწავლეთა რიცხვის შეცირება. წელიწადში ათი კანდიდატი სამღვდელო ადგილებზე მთელი საეგზარქოსოსათვის, რომლის სამწყსო შეიცავს მილიონნახევრამდე მართმადიდებელ ქრისტიანს! მაგრამ ეს კიდევ არაფერი: ასეთი რიცხვის სრული შეუსაბამობა სავსებით ამკარა გახდება მაშინ, როდესაც გაითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ კურსდამთავრებული ათი კაციდან ორი-სამი კაცი ჩვეულებრივ მიდის სასულიერო აკადემიაში სწავლის განსაგრძობად, ერთი-ორი ტოვებს სასულიერო წოდებას და საერო უწყებაში შედის, ორი-სამი - სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად გამოწესდება, ასე რომ მთელ საეგზარქოსოში სამღვდელო ადგილებზე რჩება სულ დაახლოებით ოთხი-ხუთი მოწაფე, რომელთაც სემინარიის კურსი დაუმთავრებიათ.

იმისათვის, რომ ამ სავალალო ფაქტს სათანადო შეფასება მივცეთ, საჭიროა ვიცოდეთ, მოსწავლეთა რა მრავალრიცხოვნობა ახასიათებს წმინდა რუსულ

სასულიერო სემინარიებს, რომლებიც მხოლოდ ერთ ეპარქიას უწევენ მომსახურებას. მაგალითად, ვორონეჟის, კიევის, პოდოლსკის, მოსკოვის და ტამბოვის სემინარიებში განათლებას ღებულობს თითოში 400-ზე მეტი მოსწავლე; კიშინიოვის სემინარიაში სწავლობს 500-ზე მეტი აღსაზრდელი, ხოლო ვოლინის სემინარიის მოსწავლეთა რიცხვი 600-ს აღემატება. ამრიგად, მაშინ როდესაც საკუთრივ რუსეთში ახალგაზრდობა რაც შეიძლება მეტი რაოდენობით იღებს სასულიერო განათლებას, ჩვენში ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი უსწავლელი რჩება, ვინაიდან მთელი მხარისთვის განკუთვნილი ერთადერთი სემინარიის მოსწავლეთა რაოდენობა დაყვანილია შეუძლებელ, წარმოუდგენელ მინიმუმამდე... ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ეს ფაქტი უახლესი წარმოშობისაა და გამართლება მას წარსულის მაგალითებში არ აქვს. წინა წლებში, როდესაც საეგზარქოსოში მართმადიდებელი მოსახლეობის რაოდენობა ბევრად უფრო ნაკლები იყო და სწავლა-განათლების წყურვილიც შეუდარებლათ უფრო სუსტი იყო, სემინარია წელიწადში საშუალოდ 30-40 კაცს უშვებდა. ამკარაა, რომ სასულიერო უწყებამ ამ მხრივ დიდი ნაბიჯი გადადგა უკან.

სემინარიაში მოსწავლე ახალგაზრდობის რაოდენობასა და საქართველოს საეგზარქოსოში შემავალი ეპარქიების მოთხოვნილებას შორის აღნიშნული შეუსაბამობის შედეგი მეტად სავალალოა. მაშინ, როდესაც საკუთრივ რუსეთში სრული სემინარული განათლებით აღჭურვილ პირთა სიჭარბის გამო ხდება სამღვდლო პერსონალის მკაცრი შერჩევა საუკეთესო სემინარიელებისგან, ჩვენში მღვდლებად აკურთხებენ ხოლმე და არა მარტო სოფლებში, არამედ ქალაქებში ათობით გზავნიან ისეთ ხალხს, რომლებსაც გაჭირვებით უსწავლიათ ქართული საეკლესიო წიგნების მექანიკური კითხვა.

სად იმალება ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი? როგორ მოხდა, რომ სემინარია, ნაცვლად იმისა, რომ ხალხმრავალი სასწავლებელი იყოს, მოსწავლეთა მცირერიცხოვნობით გამოირჩევა? რატომ არა ჰფენს იგი უხვად სინათლის შუქს სასულიერო წრეს?

* * *

ვუბრუნდებით ჩვენი იმ ერთ-ერთი წარსული საუბრის საგანს (იხ. მიმდინარე წლის „ტიფლ. ვესტნიკის“ N15), რომელიც შეეხებოდა თბილისის მართლმადიდებელი სემინარიის ახლანდელი მდგომარეობის გაცნობას. სემინარიის შენობა იმდენად ვრცელია, რომ თამამად დაიტევს 300-400 აღსაზრდელს. ქართული საეკლესიო ხაზინა ისეთი სიუხვით აძლევს სემინარიას ფულად სახსრებს, რომ არც ერთი რუსული სასულიერო სემინარია არ ხარჯავს ყოველწლიურად ისეთ დიდ თანხას, რამდენსაც თბილისის სემინარია. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ სემინარიაში შესვლის მსურველთა და იქ სწავლის მიღების შემძლებელთა რიცხვი მცირე იყოს, ვინაიდან სასულიერო სასწავლებლები მრავალრიცხოვან ბავშვებს ამზადებენ სემინარიაში შესასვლელად. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს საეგზარქოსის ექვსი სასულიერო სასწავლებლიდან მარტო ქუთაისის სასწავლებელი ზრდის 700-მდე

ახალგაზრდას. ამ შემთხვევაში არც იმის მომიზეზება შეიძლება, რომ ისინი, ვინც სემინარიაში მისაღებ გამოხდებს აბარებს, მცირერიცხოვანი იყვნენ, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, ორი ძველი ენა არის ჩასაბარებელი, 40-მდე ბედნიერი მაინც წარმატებით გაივლის ხოლმე ამ მისაღებ სალხინებელს. ამრიგად, თუ სემინარიის შენობაც ფართოა, თუ ფულსაც უხვად იძლევიან, თუ სწავლის მსურველნი და შემძღვენიც მეტად ბლომად არიან, თუ ჩარიცხულიც საკმაოა, რატომ არის სემინარია ცარიელი? ცარიელია იმიტომ, რომ, როგორც ამას უკვე მიხვდა მკითხველი, სემინარიიდან წარა-მარა რიცხავენ და ითხოვენ აღსაზრდელთ. ეს არის ერთადერთი მიზეზი ბოროტებისა და მეტად სერიოზული ბოროტებისა.

სემინარიის გაცხრილვის სისტემა ისეთ ფარგლებში და ისეთი გულმოდგინებით ტარდება, რომ ძალაუნებურად გაფიქრებინებთ, სემინარიის ხელმძღვანელობას თავის მიზნად და თავის დანიშნულებად სასწავლებლიდან სემინარიელთა განუწყვეტელი გარიცხვა ხომ არ მიაჩნია? შემდეგ ციფრები ნათელყოფენ, რომ ეს პათოლოგიური გულმოდგინება საშინელ ზომამდე აღწევს. სემინარიის მეორე კლასში, რომელშიც ამჟამად ირიცხება 26 მოსწავლე, დაწყებისას იყო 44, მაშასადამე, წელიწადნახევრის განმავლობაში კლასმა თავის აღსაზრდელთა 2/5 დაკარგა; მესამე კლასში ამჟამად ირიცხება 15 მოსწავლე, დაწყებისას კი ირიცხებოდა 39; მასასადამე, ორ ნახევარი წლის განმავლობაში აღსაზრდელთა რიცხვი საერთო რაოდენობის 3/5-ზე მეტით შემცირდა; მეორხე კლასშიც ამჟამად ირიცხება 15 აღსაზრდელი, წინათ კი ირიცხებოდა 33; მაშასადამე, კლასს ნახევარზე მეტი დააკლდა; მეხუთე კლასში ახლა 13 აღსაზრდელია. დაწყებისას კი იყო 49, ergo შემცირდა საერთო რიცხვის 3/4-ით. ასევე ძალიან შემცირდა უკანასკნელი, მეექვსე კლასიც, რომელიც დასაწყისს საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო, ამჟამად კი სულ ათი მოწაფისაგან შედგება.

ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ სემინარიიდან მოსწავლეებს ათობით რიცხავენ არა საპატიო მიზეზებით და საკმაო საფუძვლის უქონლად. ისეთი დანაშაული რომლისთვისაც სხვა სასწავლებელში მოსწავლეს მხოლოდ მსუბუქ დისციპლინარულ სასჯელს აკმარებენ, - სემინარიაში მოწაფეთა გარიცხვას და დათხოვნას იწვევს, მიუხედავად იმისა, რომ უწმინდესი სინოდის საგანგებო დადგენილებით აკრძალულია მოსწავლეთა გარიცხვა, გარდა უკიდურეს შემთხვევებისა. გარიცხვის შემთხვევებიდან მოვიყვანთ ერთ მაგალითს, რომელსაც ამ ახლო ხანში ჰქონდა ადგილი. გასული წლის ივნისში მესამე კლასის მოწაფე დ-ძემ, რომელიც მანამდე ყველა საგანში კარგად სწავლობდა, გამოცდაზე ორიანი მიიღო სიტყვიერებაში. მან ეს ორიანი მასწავლებლის მხრივ დიდ უსამართლობად ჩათვალა და, თავისდა საუბედუროდ, გაბედა და რაღაც გაურკვეველი უხეში ფრაზა წაიბურტყუნა. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ კარგი მოწაფე, თავდაპირველი და მორჩილი, ამასთან უღატაკესი და ობოლი, სემინარიიდან გაერიცხათ და ბრძანება გამოექვეყნებინათ. მალე ის ქუჩაში აღმოჩნდა, სრულიად უსახსროდ და უსახლკაროდ. ამხანაგებმა, მის უმწეო მდგომარეობას რომ ხედავდნენ, მოუგროვეს მას თითო-ოროლა გროში და შიმშილისგან იხსნეს, დ-ძემ საჩივრით მიმართა უხენაეს სასულიერო მთავრობას პეტერბურგში, ვინაიდან თავს უკიდურესი უსამართლობის

მსხვერპლად თვლიდა. მისი საჩივარი საბუთიანად იცნეს და, რადგან სასწავლებელში მისი დაბრუნება სასწავლებლის უფროსების ნებასურვილის წინააღმდეგ შეუძლებელი იყო, ამიტომ სემინარიის მმართველობას წინადადება მისცეს გარიცხვა შეეცვალა დათხოვნით თვით მოსწავლის თხოვნის საფუძველზე. სემინარიის ხელმძღვანელობა იძულებული შეიქნა საქმეს ადამიანურად მიდგომოდა და ელიარებინა, რომ გარიცხული მოწაფე ღირსია ძალიან კარგი ატესტაციისა ყოფაქცევაში და კარგისა - სემინარიის კურსის უკლებლივ ყველა საგანში. ამრიგად, მან დაუმსახურებლად სცნო მოსწავლის მიერ გამოცედაზე მიღებული არადამაკმაყოფილებელი ნიშანი, რომელმაც მოსწავლე ააღელვა და მოთმინებიდან გამოიყვანა, მისი საქციელი კი ჩათვალა შემთხვევით და უმნიშვნელო დანაშაულებრივ მოქმედებად და, ყოველივე ამის თანახმად, მისცა მას მოწმობა. მაგრამ ამით შეუმსუბუქდა მხოლოდ ფორმა უსამართლობისა და არა შინაარსი, რომელმაც მოწაფეს არსებითად დამღუპველი შედეგი მოუტანა: ობლობისა და სიღარიბის გამო მას საშუალება არა აქვს შევიდეს რომელიმე სასწავლებელში სწავლის განსაგრძობად და იძულებულია უსწავლელი დარჩეს. თუკი ასეთ უმნიშვნელო დანაშაულებრივი საქციელი, დანაშაულის შემამსუბუქებელი ყველა ვითარების მიუხედავად, საკმარისი საფუძველია მოსწავლეთა გარიცხვისთვის, ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა უბრალო წვრილმანია საჭირო სემინარიიდან მათი დათხოვნისთვის. აი ამის ერთ-ერთი უახლესი მაგალითი: ზემოხსენებული ობოლი ყმაწვილის სასარგებლოდ ფულის შეგროვება მოსწავლეებში მოხდა მეოთხე კლასის ორი მეტად ნიჭიერი და თვალსჩინო მოსწავლის თაოსნობით. თითქოს სანიმუშო საქციელია, ყოველმხრივ მისასაღმებელი და მოსაწონი, იგი ამჟღავნებს ინიციატორების სიკეთეს და გულთბილობას. სხვა ადგილას და სხვა გარემოებაში ისინი, რა თქმა უნდა, მოწონებას დაიმსახურებდნენ. მაგრამ სემინარიის უფროსებმა ამას სულ სხვა თვალთ შეხედეს. მათ ამ საქციელში დაინახეს სახიფათო არაკეთილსაიმედოების სიმპტომი და, თავისი ჩვეულებისამებრ, ამ ორ აღსაზრდელს წინადადება მისცეს დაეტოვებინათ სასწავლებელი. მაგრამ, რადგან მათ არ უნდოდათ დაეკარგათ სკოლაში თავიანთი ათი წლის მძიმე შრომის შედეგი, უარი განაცხადეს დათხოვნის შესახებ თხოვნის შეტანაზე. მაგრამ მათ, რა თქმა უნდა, ამით ვერ აიცილეს თავიდან უფროსების მიერ მათთვის გადაწყვეტილი ხვედრი. მალე ორთავეს საგამოცდო ნიშნებში რომელიღაც საგანში აღმოჩნდა ორიანები, რომელთა თავიდან მოშორება მათ ვერავითარი ხელახალი გამოცდით ვერ შესძლეს, და ისინი იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ სასწავლებელი. თუ რამდენად აღმაშფოთებელ წინააღმდეგობას იწვევს სემინარიის უფროსების პათოლოგიური სურვილი - საპატიო მიზეზის უქონლოდ უეჭველად მოაცილონ სასწავლებელს მათთვის რატომღაც არასასიამოვნო აღსაზრდელნი - ამას მოწმობს შემდეგი შემთხვევა, რომელიც დაწვრილებით იყო აღწერილი ქართულ გაზეთ „დროების“ ერთ-ერთ მოწინავე სტატიაში 1876 წ. იმ წერილობითი დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც მისი რედაქტორის ხელში იმყოფებოდა. ვინაიდან ეს შემთხვევა ზედმიწევნით ახასიათებს თბილისის სასულიერო სემინარიის წესებს, განსაკუთრებით კი მისი ინსპექტორის, ბ-ნ კუვშინსკის ყოვლად უცნაურ მოქმედებას, სიტყვა-სიტყვით მოგვყავს ეს ადგილი:

„გასული მაისის 10-ს ერთი მესამე კლასის შაგირდი, სახელად ნიკო შავლიევი გამოაგდეს სემინარიიდან. მმართველობას და განსაკუთრებით ინსპექტორს როგორღაც არ მოსწონდა თურმე ეს შეგირდი და მიზეზს უძებნიდნენ, რომ თავიდან მოეშორებინათ; მიზეზიც მოინახეს: ერთხელ სწავლის დროს ყმაწვილს გარეთ გასვლა ეთხოვა მასწავლებლისთვის; ამას ნება არ მიეცა. შაგირდმა ვერ მოითმინა და გავიდა; მით უფრო გაბედა ეს, რომ სხვებიც ძალიან ხშირად დაუკითხავად გადიოდნენ ხოლმე გარეთო, როცა რაიმე გაჭირვება ექნებოდათო.

აი მხოლოდ ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ ეს შავლიევი გამოაგდეს სემინარიიდან.

მოწმობაში, რომელიც ამ ყმაწვილს მისცეს, სწერია, რომ ნიკო შავლიევი „თავის ნებით გამოდის სასწავლებლიდანო“; მაგრამ ეს მართალი არ არის, ემუქრებიან თურმე, რომ, თუ თხოვნა არ შემოიტანე ახალავე, რომ შენის ნებით გასურს გამოსვლა, მაშინ ჩვენ გამოგადგებთ და ისეთ მოწმობასაც მოგცემთო, რომ შემდეგ არსად არ შეგეძლოს შესვლა არც სწავლისთვის, არც სამსახურში, არც მღვდლათო და სხვ.

სემინარიიდან მიღებულს ოფიციალურს და ბეჭდ დასმულს მოწმობაში ნაჩვენებია, რომ შეგირდს ნ. შავლიევს „ძალიან კარგი“ ყოფაქცევა აქვსო. სწავლის თაობაზე ამავე მოწმობაში მოხსენებულია შემდეგი: ნ. შავლიევი საღვთო წერილის საგანს სწავლობდა კარგათ, მეტყველებას - კარგათ, ისტორიას - კარგათ, ალგებრას - გვარიანათ, ლიტერატურას - კარგათ, მსოფლიო ისტორიას - კარგათ, გეომეტრიას - კარგათ, ლათინურსა და ფრანგულს ენებს - კარგათ.

ახლა წაიკითხეთ ეს წიგნი სემინარიის ინსპექტორის უფ. ი. კუვშინსკისა, რომელიც იმან ამ გამოგდებულ შაგირდის ძმას მ. იოანე შავლიევს მისწერა ამ ყმაწვილის გამოგდების თაობაზე. სიტყვა-სიტყვით ვთარგმნით ამ წიგნს:

„დიდათ პატივცემულო მ. იერომონახო იოანე!

„თქვენმა ძმამ ნიკომ მთხოვა მე მოგწეროთ მიზეზები ანუ გარემოებანი, რომლის გამოც ის გამორიცხული იყო სემინარიიდან „ნიკ. შავლიევი სუსტი ნიჭის ყმაწვილია და საკმაოდ არ არის გონებით გახსნილი, ამის გამო ვერ ასწრებდა იმდენით სწავლაში წინ წასვლას, რომ მეოთხე კლასში გადასულიყო ან ამ მომავალ 1 ივლისიდან საეკლესიო ხარჯზე დარჩენილიყო.

„აი ეს იყო უმთავრესი მიზეზი იმის გამოგდებისა სემინარიიდან.

„რაიცა შეეხება იმის ზოგიერთ ზნეობით შეცდომებს, ამისათვის იმან ჯეროვანი დასჯა მიიღო და არ შეიძლება, რომ ეს ოჯახის განსამართლების საგნად შეიქნეს.

„ამის გამო გთხოვთ, ისე უყუროთ ამ ყმაწვილს, როგორც ძმას, რომლისთვისაც თქვენის მხრით დახმარება საჭიროა.

„მე მგონია, რომ ნ. შავლიევს შეუძლია იქნეს მშვენიერი ოჯახის კაცი და სამაგალითო მღვდელი“.

ახლა შევადართო ეს წერილი ზემოხსენებულ მოწმობას, მოსწავლე გააგდეს სემინარიიდან, როგორც ჩანს, როგორც არაკეთილსაიმედო პირი, მოწმობაში კი მისი ყოფაქცევა შეფასებულია „ძალიან კარგზე“. მოწმობაში აღნიშნულია რომ შავლიევი ყველა საგანში კარგად სწავლობდა, ინსპექტორი კი თავის წერილში უხსნის მღვდელ-მონაზონ იოანეს, რომ მისი ძმის გარიცხვის მიზეზი იყო უნიჭობა და მოუსწრებლობა. მოწმობაში ჩაწერილია, რომ შავლიევი დათხოვნილია თავის თხოვნის თანახმად, ბ-ნი კუვშინსკი კი წერილში წერს, რომ იგი გარიცხულია. სკოლის მოწმობაში შავლიევი დახასიათებულია როგორც ფრიად ნიჭიერი მოსწავლე, ბ-ნი კუვშინსკი კი ახასიათებს მას როგორც უნიჭო, სუსტი გონებისა და სუსტი განვითარების ახალგაზრადს, რომელსაც არ შეუძლია სწავლის განგრძობა!.. ყველაზე უცნაური ისაა, რომ სემინარიის ინსპექტორი თავის წერილში თავის მოსწავლეს სრულიად უვარგისად თვლის როგორც გონებრივ, ისე ზნეობრივ მხრით და იმავე წერილში ამტკიცებს, რომ მისგან გამოვა სანიმუშო მღვდელი! ვისი წყალობით არის, რომ უთვალავი გარიცხვა-დათხოვნის გამო სემინარიის მოსწავლეთა რიცხვი დაყვანილია წარმოუდგენელ მინიმუმამდე? ვინ უსპობს მოსწავლეებს და მათ მშობლებს საშუალებას ისარგებლონ მრავალწლოვანი მძიმე შრომის შედეგების ნაყოფით? და, ბოლოს, ვის უნდა უმაღლოდეს ჩვენი მხარე იმ სამწუხარო ფაქტს, რომ ამიერკავკასიის მრავალრიცხოვანი მართლმადიდებელი მოსახლეობა მოკლებულია სამღვდელოების ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებელ პერსონალს, მაშინ როდესაც ადგილობრივ სომხურ მოსახლეობას, მრავალგვარი დაბრკოლებების მიუხედავად, მოეპოვება სემინარიელთა მრავალრიცხოვანი კონტიგენტი, საიდანაც იგი ირჩევს მოძღვრებად განათლებულ პირებს?

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა:

ქ.ჭიათურის #2 საჯარო სკოლის პედაგოგმა რუსუდან ბურჯანაძემ.

10 აპრილი, 2020 წელი

#დარჩისახლში